

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**

**მეთხე სექცია**

**განჩინება**

საჩივარი N45554/08

*აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ*

სტრასბურგი

2014 წლის 15 ივლისი

მოცემული განჩინება საბოლოა კონვენციის მუხლი 44& 2 მითითებული გარემოებების პირობებში. განჩინებამ შესაძლოა განიცადოს სარედაქციო ცვლილებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), პალატის 2014წლის 24ივნისის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

ინეტა ცილემი, თავმჯდომარე,

პაივი ჰირველა,

ლუდი ბიანკუ,

ნონა წოწორია,

პოლ მაჰონი,

კრისტოფ ვოჟტიშეკი,

ფარის ვეჰაბოვიჩი, *მოსამართლეები*,

და ფატოს არაჩი, სექციის განმწესრიგებელი

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

## პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი(ნო. 45554/08)საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც შეტანილი იქნა სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მუხლი 34-ის შესაბამისად (შემდგომში „კონვენცია“) საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი იზეტ აშლარბას (შემდგომში „მომჩივანი“) მიერ 2008 წლის 22 აპრილს.

2. მომჩივანს წარმოადგენდნენ ბ-ნი გ. ზირაქიშვილი და ქ-ნი მ. ფხალაძე, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას თბილისში ახორციელებენ. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა მათი წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. მომჩივანი კერძოდ აცხადებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1)§ 1, რომელიც საფუძველზეც იქნა იგი „ქურდული“ სამყაროს წევრობისდანამაულში ბრალდებული, არ იყო ზუსტი და საკმარისად განჭვრეტადი იმისათვის, რომ მომჩივანს მოეხდინა საკუთარი ქცევის შესაბამისი რეულირება.

4. 2012 წლის 3 იანვარს კონვენციის მუხლი 7-ის შესაბამისად საჩივარი მიწოდებული იქნა საქართველოს მთავრობისათვის.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს სოფელ ანგისაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა (შემდგომში „აარ“), საქართველო.

#### A. მომჩივანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების საფუძვლები

6. 2006 წლის 15 თებერვალს აარ-ის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ბ-ნი ა.კ-ს საქმიანობის სისხლის სამართლებრივი გამოძიება მისი კრიმინალური სამყაროსთან კავშირში ბრალდების მიმართულებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1)-ის შესაბამისად. კერძოდ, არსებობდა ეჭვი, რომ იგი წარმოადგენდა „კანონიერ ქურდს“ (ტერმინის ზუსტი განმარტებისათვის, იხილეთ, ქვემოთ 18-20 პუნქტები), რომელიც ახორციელებდა კრიმინალური გაერთიანებების მართვასა და მონაწილეობდა სხვადასხვა კერძო ხასიათის დავების მოგვარებაში კრიმინალური ქმედებების გზით. გამოძიების მსვლელობისას, დაკითხული იყო რამდენიმე შესაბამისი მოწმე - იმ ციხის მოსამსახურეები, სადაც ბ-ნი ა.კ. იხდიდა წინა სასჯელს, მისი ოჯახის წევრები და სხვა ახლო კავშირში მყოფი პირები; ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ ბ-ნმა ა.კ.-მ ნამდვილად მიიღო „კანონიერი ქურდის“ წოდება კრიმინალური რიტუალის „მონათვლის“ შედეგად 1999 წელს. ამის შემდგომ იგი მონაწილეობას იღებდა „კრიმინალური სამყაროს“ მართვაში (კრიმინალური დაჯგუფებების კარგად ორგანიზებული ქსელი; უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ პუნქტები 21-22), კრიმინალურ სამყაროს წევრების ქცევის მარეგულირებელი სპეციალური წესების შესაბამისად.

7. 2006 წლის 5 მარტს ბ-ნი ა.კ.-ზე გამოცხადდა ძებნა. ბ-ნი ა.კ. ამ პერიოდში ცხოვრობდა ან უკრაინაში ან რუსეთში. ზემოთ ხსენებული გამოძიების შედეგების მიხედვით ძებნაში მყოფ (გაქცეული) ეჭვმიტანილს რეგულარული სატელეფონო კავშირი ჰქონდა აარ-ში მოქმედ სხვა კრიმინალურ ლიდერებთან; ამლევდა მათ ინსტრუქციებს რეგიონში სხვადასხვა კერძო ხასიათის

დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ბ-ნი ა.კ-ს სატელეფონო საუბრების იურიდიულად ავტორიზებული მოსმენების შედეგად გამოირკვა, რომ მომჩივანი წარმოადგენდა იმ პირთაგან ერთ-ერთს, რომელიც რეგულარულად იღებდა ინსტრუქციებს „კანონიერი ქურდისგან“. შესაბამისად სისხლის სამართლებრივი გამოძიება არეალი გაფართოვდა და მოიცვა ამ უკანასკნელის საქმიანობაც.

8. 2006 წლის 31 ივლისს, მოხდა მომჩივანისა და კიდევ ერთი პირის, ბ-ნი ი.ა.-ს დაკავება „კრიმინალური სამყაროს“ წევრობაში ექვმიტანილების სტატუსით, დანაშაული, რომელიც დასჯადია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1) § 1-ის შესაბამისად. იმავე დღეს ჩატარებული დაკითხვისას მომჩივანმა დაადასტურა, რომ იგი ბ-ნ ა.კ.-ს უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში იცნობდა და იცოდა, რომ ბ-ნ ა.კ.-ს გააჩნდა კრიმინალური წოდება - „კანონიერი ქურდი“. დაკითხვისას მომჩივანმა ამასთან დასძინა, რომ მისი აზრით კანონიერი ქურდობა „კაი კაცობა“ იყო.

9. 2006 წლის 29 სექტემბერს შეწყდა სისხლის სამართლებრივი გამოძიება ბ-ნი ა.კ.-ს, მომჩივანსა და ბ-ნი ი.ა.-ს წინააღმდეგ და პროკურატურამ საქმე გადასცა სასამართლოს განხილვისთვის.

## **B. სასამართლო განხილვა და მომჩივანის ბრალდება**

10. 2007 წლის 27 მარტის განჩინებით ბათუმის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი და ბ-ნი ი.ა. ცნო დამნაშავედ „ქურდული სამყაროს“ წევრობაში (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1) § 1 და მათ შესაბამისად შვიდი და ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

11. სასამართლომ შემდეგი ზოგადი სახის დებულებებით აღწერა მომჩივანის ბრალეული საქმიანობა:

“მომჩივანმა, ახდენდა რა ქურდული სამყაროს აღიარებასა და მიღებას, საჯაროდ მისი ცხოვრების სტილით გამოხატა ამ სამყაროსადმი მხარდაჭერა და იყო აქტიურად ჩართული მოცემული ქურდული სამყაროს მიზნების მიღწევის პროცესში... ჩვეულებრივი პირების ტერორიზებისა და იძულების გზით მისი წევრებისა და სხვა პირების მიერ სარგებლის მიღების მიზნით; {მომჩივანი} საკუთარი ქმედებებით, და ქურდული სამყაროს მართვაში კანონიერი ქურდის დახმარების გზით ახდენდა ქურდული სამყაროს სპეციალური წესების გავრცელებას.“

12. უფრო კონკრეტულად, მომჩივანის ბრალეულობა ემყარებოდა შემდეგ სამ ეპიზოდს, რომელთა რეალობა

გამოძიებისა და სასამართლოში საქმის წარმოების პროცესში დაკითხული მრავალი შესაბამისი მოწმის ჩვენებებით იქნა დადასტურებული; ამასთან მტკიცებულებები მოპოვებული იქნა მომჩივანის, სხვა ბრალდებულებისა და სხვა შესაბამისი პირების სატელეფონო საუბრების მოსმენების გზით.

13. პირველი - საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნმა ა.კ.-მ, რომელიც ზოგადად მიღებული იყო, როგორც რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული კრიმინალური ავტორიტეტი, მომჩივანს მოსთხოვა მოეგვარებინა მის სიდედრსა და სხვა პირს შორის ბინასთან დაკავშირებული დავა. სასამართლომ მომჩივანი დაადანაშაულა იმაში, რომ მან მიიღო ეს დავალება და 2006 წლის 24 ივნისიდან ივლისამდე პერიოდში მონაწილეობა მიიღო ა.კ.-ს კრიმინალური ავტორიტეტის გამოყენებით დავის არაოფიციალურ გადაწყვეტაში. საპასუხოდ, მომჩივანი წარუმატებლად შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მას უბრალოდ სურდა დახმარება აღმოეჩინა ქალისთვის, რომელიც მისი ახლობელი იყო, მეგობრული შეთანხმების საშუალებით მოეგვარებინა დავა, ისეთივე ფორმით, როგორც ეს დავა მოგვარდებოდა სამოქალაქო სასამართლოში საქმის წარმოებისას მხარეების საქმის განხილვაზე მოწვევის შემთხვევაში; მან ასევე განაცხადა, რომ არ იცოდა, თუ ამ ტიპის ჩვეულებრივი ქცევა წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს. მან არ უარყო ის ფაქტი, რომ მისმა ძველმა მეგობარმა, ბ-ნმა ა.კ.-მ სთხოვა ამ დავაში ჩარევა.

14. მეორე - საქალაქო სასამართლომ დაადგინა, რომ იგივე პირმა, ასევე ბრალდებულმა „კანონიერმა ქურდმა“, ბ-ნმა ა.კ.-მ 2006 წლის 24 ივლისს მოსთხოვა მომჩივანს დაედგინა ორი ახალგაზრდა მამაკაცის, 20-25 წლის ახალგაზრდების ადგილსამყოფელი ბათუმში, რომელთაც უარი განაცხადეს კერძო ტაქსის მძღოლისთვის საზღაურის გადახდაზე. მომჩივანს სთხოვეს მისი, როგორც კრიმინალური სამყაროს უფროსი წარმომადგენლის, საკუთარი ავტორიტეტისა და უფრო გავლენიანი ბ-ნი ა.კ.-ს ავტორიტეტის გამოყენებით, დაერწმუნებინა ახალგაზრდა მამაკაცები, დაეფარათ მძღოლის ვალი. მომჩივანი არ უარყოფდა იმ ფაქტს, რომ მას ნამდვილად სთხოვა ბ-ნმა ა.კ.-მ მეორე კერძო ხასიათის დავაში ჩარევა; მომჩივანი წარუმატებლად შეეცადა დაემტკიცებინა, რომ პრაქტიკულად არანაირი ზომა არ მიუღია და შესაბამისად მისთვის გაუგებარი იყო, თუ რატომ უნდა ეგო პასუხი ისეთი ქმედებისთვის, რომელსაც რეალურად ადგილი არ ქონია.

15. მესამე - საქალაქო სასამართლო დაეფუძნა იმ ფაქტს, რომ 2006 წლის 8 ივლისს მომჩივანი ეწვია ციხეში მყოფ ნაცნობს, რომელიც „ქურდული სამყაროს“ წევრების მიერ განიხილებოდა როგორც იმედის მომცემი ახალგაზრდა კაცი, ანუ „მომავალი კანონიერი ქურდი“; მომჩივანმა მოცემულ პირთან განიხილა „ობშიაკ“-თან, „ქურდული სამყაროს“ საკუთრებაში არსებული საერთო თანხები, დაკავშირებული ფინანსური საკითხები, და ასევე აცნობა მას, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს შესაძლოა მალე დაეკარგა თავისი თანამდებობრივი პოზიცია, რაც ბუნებრივად გამოიწვევდა „კანონიერი ქურდების“ ავტორიტეტის გაზრდას და კრიმინალურ სამყაროში მოქმედი სპეციალური წესების განმტკიცებას. მესამე ეპიზოდთან დაკავშირებით, მომჩივანი წარუმატებლად ეცადა დაემტკიცებინა სასამართლოს წინაშე, რომ მან უბრალოდ გამოხატა თავისი აზრი შინაგან საქმეთა მინისტრის შესახებ და რომ ამის გამო არ უნდა მომხდარიყო მისი დასჯა.

16. 2007 წლის 10 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში მომჩივანის სააპელაციო სარჩელი, სადაც იგი წამოადგენდა მის ყველა წინარე წარმოდგენილ არგუმენტებს; სასამართლომ მთლიანად დატოვა ძალაში 2007 წლის 27 მარტს წარმოდგენილი განაჩენი.

17. 2008 წლის 29 თებერვლის განჩინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარყო მომჩივანის საკასაციო სარჩელი როგორც დაუსაბუთებელი, რითაც შეწყვიტა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოება.

## II. შესაბამისი ადგილობრივი კანონი და შედარებითი ხასიათის კვლევა

### A. „ქურდულ სამყაროს“ ინსტიტუტთან დაკავშირებული კანონმდებლობა

18. 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად კოდექსში შეტანილი დამატებითი დებულება, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1) შემდეგ დებულებას მოიცავს:

“მუხლი 223(1): „ქურდული სამყაროს“ წევრობა, „კანონიერი ქურდობა“

“1. ქურდული სამყაროს წევრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.

2. კანონიერი ქურდობა ისჯება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ათ წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ.“

19. საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2005 წლის 20 დეკემბერს ინიცირებულ ცვლილებას თან ახლავს ოფიციალური განმარტებითი სახის მემორანდუმი, რომელიც აღწერს ზემოთ მოცემული ორი დარღვევის სისხლის სამართლებრივ ჩარჩოეში მოქცევის დასაბუთებას შემდეგი სახით:

“არსებული კანონმდებლობა უკვე შეიცავს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის იურიდიულ მექანიზმებს. თუმცა ეს მექანიზმები არ არის საკმარისი კრიმინალური გაერთიანებების, ეგრეთ წოდებული „ქურდული სამყაროს“ საქმიანობისა და რეკეტიორობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამჟამად ..... ქვეყანაში ისევ არსებობენ სხვადასხვა კარგად ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც სპეციალურად მათთვის შექმნილი წესების მიხედვით მოქმედებენ. ამ ტიპის ჯგუფების მიზნებისა და ფუნქციონირების მეთოდების შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ჯგუფები თავიანთ თავს აიგივებენ „ქურდულ სამყაროსთან“. ზემოთ ხსენებული ქურდული სამყაროს არსებობა წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან.“

20. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1)-ის გარდა საქართველოს პარლამენტმა 2005 წლის 20 დეკემბერს კიდევ ერთი სიახლე დაამტკიცა. კერძოდ, მიღებული იქნა კანონი ორგანიზებულ დანაშაულსა და რეკეტზე; ამ კანონის ნაწილი 3 გვამლევს „კანონიერ ქურდებთან“ და „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნების განმარტებას:

**მუხლი 3. ქურდულისამყარო -ქურდულისამყაროსწევრი - კანონიერიქურდი.**

1. ქურდულისამყარო – პირთანებისმიერიერთობა, რომელიც მოქმედებს მათი მიერ დადგენილი/ადიარებულისპეციალურიწესები სშესაბამისად დარომლის მიზანიადაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმისპირობებით, ქურდულიგარჩევისგზით, დანაშაულებრივქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება..

2. ქურდულისამყაროსწევრი – ნებისმიერი პირი, რომელიც ადიარებს ქურდულსამყაროს სპეციალურ წესებს და აქტიურად მოქმედებს ქურდულისამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

3. ქურდულიგარჩევა – ქურდულისამყაროსწევრისმიერორანორზემეტპირსშორისარსებულიდავის გადაწყვეტა, რომელსაცახლავსმუქარა, იძულება, დაშინებაანსხვაუკანონოქმედება.
4. კანონიერიქურდი – ქურდულისამყაროსწევრი, რომელიცქურდულისამყაროსსპეციალურიწესებისშესაბამისადნებისმიერი ფორმითმართავსან/დაორგანიზებასუწევსქურდულსამყაროსანპირთაგარკვე ულჯგუფს.

## B. „ქურდული სამყაროს“ ინსტიტუტი

21. არსებობს „კანონერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ სოციო-იურიდიული კვლევები; ნაწილი მათგანი გამოყენებული იქნა მთავრობის მიერ კანონ პროექტის შემუშავების პროცესში. ზემოთ ხსენებული კვლევების ყველაზე შესატყვისი დასკვნები შემდეგ სურათს ქმნის.

22. ეგრეთ წოდებული „ქურდული სამყარო“ (ქართულად) და „воровской мир“ რუსულ ენაზე) განიხილება როგორც თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურული ხერხემალი მთელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საქართველოს ჩათვლით. მოცემულ პროფესიონალურ კრიმინალურ სამყაროს ჰყავს თავისი აღიარებული ლიდერები, გააჩნია ინიცირების დახვეწილი რიტუალები და ქცევის კოდექსი. იგი გამოირჩევა განსაკუთრებით კარგად ორგანიზებული ძალაუფლების გადანაწილების სტრუქტურით, სუბორდინაციისა და მის (კრიმინალ) წევრებზე, ხანდახან კი საზოგადოების სხვადასხვა სექტორებზე კონტროლის მკაცრი სისტემით. საბჭოთა ეპოქის „ქურდული სამყაროს“ ინსტიტუტი იმპერიულ რუსეთში ჩაისახა. საბჭოთა კრიმინალური გაერთიანებების ტრადიციული სტრუქტურის შექმნა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწყო და ეფუძნებოდა იერარქიასა და „ქურდული კანონისადმი“ („ქურდული კანონი“ ქართულად) და „Воровской Закон“- რუსულ ენაზე - სპეციალური წესების წყება, რომელიც არეგულირებს ქურდული სამყაროს წევრების ქცევას) მკაცრი მორჩილების პრინციპებს. მოცემული კრიმინალური ორგანიზაციების წევრები საბჭოთა პერიოდში ავლენდნენ მხურვალე ანტი-კომუნისტურ განწყობებს, და უმრავლეს შემთხვევაში მათ მოეთხოვებოდათ ზომიერი, არა-მატერიალისტური ცხოვრებით ცხოვრება. თუმცა საბჭოთა ეპოქის პროგრესთან ერთად, დაიწყო ახალი ტიპის კრიმინალებისა და

კრიმინალური სტრუქტურების შექმნა, რომლებიც რეალობაში ძირითადად დაინტერესებულნი იყვნენ მხოლოდ სიმდიდრის დაგროვებითა და ძალაუფლების შექმნით. ეს ინდივიდები არღვევდნენ „ქურდული სამყაროს“ ტრადიციულ მიდგომას და ქმნიდნენ ახალ დაჯგუფებებს, რომლებიც წმინდად მატერიალისტურ ინტერესებს ემყარებოდა. არსებობს ასევე თვალსაზრისი, რომ საბჭოთა კავშირმა/ სახელმწიფომ თავისი წვლილი შეიტანა კრიმინალური სამყაროს ტრადიციული სტრუქტურების ნგრევაში, რამაც თავის მხრივ, შედეგად მოგვცა „კანონიერი ქურდების“ მიერ მითიური სტატუსის მიღება(ბიბლიოგრაფია: ლ.დ. ნიუმენი, რიკო და რუსული მაფია: ახალი უნივერსალური პრინციპებისკენ მიმავალი გზა *საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში*, 9 Ind. Int'l & Comp. L. Rev. 225, 1998-199, გვ.231, დამატებით შესაბამისი ბიბლიოგრაფია მოწოდებულია ქვემოთ; ი. გლაზოვი (Y. Glazov), „ქურდები“ საბჭოთა კავშირში - სოციალური ფენომენი. კვლევა, მ გალეოტი (M. Galeotti), რუსული და პოსტ-საბჭოთა ორგანიზებული დანაშაული (2002);ფ. ვარესი (F. Varese), *კანონიერი ქურდების საზოგადოება, 1930-იანი - 1950 -იანი წლები*, Cahiers du monde russe, მ. გელიოტი (M. Galeotti), რუსული და პოსტ-საბჭოთა ორგანიზებული დანაშაული (2002) (2002), გვ. 515).

23. „კანონიერი ქურდები“ („*კანონიერი ქურდები*“ ქართულად და „*воры в законе*“ რუსულ ენაზე) არიან ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე კრიმინალები, რომელთაც ემორჩილებიან სხვა მიმდევარი კრიმინალები; ისინი სარგებლობენ უსაზღვრო (კმათის გარეშე) ავტორიტეტით და მაღალი რანგის სტატუსით საბჭოთა კავშირის შემადგებლობაში შემავალი ქვეყნების ქურდულ სამყაროში. ისინი წარმოადგენენ ორგანიზებული დანაშაულის სამყაროს ელიტას, მათი რანგი შეესაბამება იტალიურ მაფიაში „ნათლიმამის“ („Godfather“) რანგს. დამნაშავისათვის „კანონიერი ქურდის“ წოდების მინიჭებას ჩვეულებრივ ახდენს უფრო მაღალი დონის „კანონიერი ქურდი“ კრიმინალური რიტუალის გზით, რომელსაც „ნათლობა“ ეწოდება. ამ წოდების მფლობელები განიხილებიან როგორც „ქურდული კანონების“ დამცველები. „კანონიერი ქურდი“ ჩვეულებრივ თავად იშვიათად ჩადის დანაშაულს. „კანონიერ ქურდის“ მიერ განხორციელებული კონტროლის ერთ-ერთ გამორჩეულ თავისებურებას წარმოადგენს კრიმინალურ წრეებში მისი რეპუტაციაზე დამყარებული

ავტორიტეტი. ამდენად ფიზიკური არსებობა არ წარმოადგენს ამ კრიმინალი ხელმძღვანელების ძალაუფლებისა და ავტორიტეტის განმსაზღვრელ ფაქტორს. ამის სანაცვლოდ, კომუნიკაციების კარგად განვითარებული ქსელი და კრიმინალი ბოხების დადებითი ხასიათის აღქმა საზოგადოებაში უზრუნველყოფს მათ გავლენას კრიმინალურ სამყაროზე. ზოგადად, „კანონიერმა ქურდებმა“ კრიმინალურ სამყაროში ეფექტურო ლიდერობის მისაღწევად უნდა განახორციელონ ოთხი ძირითადი ფუნქცია: (1) საინფორმაციო ფუნქცია (ფართო სპექტრის საკითხებთან, კონკრეტული პირებისა და მოვლენების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და შეფასება); (2) ორგანიზაციული ფუნქცია (რაც გულისხმობს, სხვადასხვა კონკრეტული საქმიანობების დაგეგმვასა და კრიმინალური სამყაროს სხვა წევრებზე პასუხისმგებლობების გადანაწილებას); (3) ნორმატიულ - მარეგულირებელი ფუნქცია (რაც გულისხმობს, კრიმინალური იდეოლოგიის გავრცელებას, კრიმინალური ცხოვრებისთვის რომანტიკული ელ-ფერის მინიჭებას, ახალგაზრდების მოზიდვას, კრიმინალური საზოგადოების ფარგლებში ქურდული კანონების დაცვას); და (4) გადაწყვეტილებების მიღების ფუნქცია (სხვა ისეთი აფილირებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობების წარმართვა და კოორდინაცია, როგორცაა სახლის გამტეხავები, რეკეტიორები, ადამიანთა გამტაცებლები). უფრო მეტიც, „კანონიერი ქურდის“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ქურდული სამყაროს საერთო ფულადი სახსრების, ეგრეთ წოდებული „ობშიაკის“ ადმინისტრირება. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ „კანონიერი ქურდები“ აკონტროლებენ და უფლებამოსილება გააჩნიათ არა მხოლოდ კრიმინალებზე, არამედ ზოგადად საზოგადოების სხვადასხვა სექტორებზე. წარსულში ისინი განიხილებოდნენ როგორც პატივცემული სოციალური ავტორიტეტები, და ხშირად ხდებოდა მათი გამოყენება დავების გადაწყვეტის პროცესების ფასილიტატორის როლში. ისინი წარმოადგენდნენ სანიმუშო პირებს ახალგაზრდობისთვის, მათი უზარმაზარი სიმდიდრისა და ძალაუფლების გამო. რა თქმა უნდა, ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული სოციალურ და კრიმინალურ ელიტებს შორის კავშირებისა და გადაფარვების არსებობა, როგორც „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი თავისებურება (ბიბლიოგრაფია: ჯოზეფ დ.

სერიო და ვ.ს. რაზინკინი (Joseph D. Serio, V. S. Razinkin), *ქურდების მიერ კოდექსის შესრულება: რუსეთის კრიმინალურ სამყაროში „კანონიერი ქურდების“ ტრადიციული როლი და ახალ სოციალურ რეალობასთან ადაპტაცია*; კანონის ინტენსივობის კონფლიქტი და კანონის აღსრულება; ლ. შელი (L. Shelley), *პოსტ-საბჭოთა ორგანიზებული დანაშაული და კანონის უზენაესობა*, 28 ჯ. მარშალი, ლ. გამოცემა 827 1994-1995, გვ. 827; შერონ ა. მელზერი (Sharon A. Melzer), *რუსული და პოსტ-საბჭოთა ორგანიზებული დანაშაული*, მარეკ გალეოტი (Mark Galeotti, (Ed.)), წიგნის მიმოხილვა, საერთაშორისო სისხლის სამართლის მიმოხილვა).

24. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და ციხის სამყაროში კრიმინალური ძალაუფლების სტრუქტურების ფორმირებაზე ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში. უფრო მეტიც, ქართველი „კანონიერი ქურდები“ განიხილებოდნენ როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და გავლენიანი ეთნიკური დაჯგუფება საბჭოთა კავშირის კრიმინალური ელიტის სხვა დაჯგუფებებს შორის (სტატისტიკის თვალსაზრისით, ქართველი „კანონიერი ქურდები“-ს რაოდენობა კრიმინალი „ბოსების“ საერთო რაოდენობის 31.6%-ს შეადგენდა, და წარმოადგენდა რუსი „კანონიერი ქურდების“ შემდეგ მეორე უმსხვილეს ეთნიკურ ჯგუფს, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი 33.1%-ს შეადგენდა). ტრადიციულად ქართველი „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განსაკუთრებული წონის მატარებელი იყო იგივე ან უფრო დაბალი რანგის კრიმინალებს შორის. 1985 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სამართალდამცავ ორგანიებს დაავალა ქვეყანაში „კანონიერი ქურდების“ პრობლემის გადაწყვეტა. ამ მისიის მნიშვნელობის ხაზგასასმელად ცენტრალურმა კომიტეტმა ნათლად განმარტა, რომ ოფიციალური პირების მიერ დავალების არ შესრულება განხილული იქნებოდა როგორც მათ მიერ კანონის დარღვევა, რასაც შესაბამისი ზომები მოჰყვებოდა. 1986 წლისთვის დაკავებულის იქნა 52 „კანონიერი ქურდი“. მაგრამ ადგილობრივმა სასამართლოებმა მათ ყველაზე მსუბუქი სასჯელები დაუწესეს. ეს ნაწილობრივ აიხსნებოდა ორგანიზებული დანაშაულის ეფექტური დევნისათვის საჭირო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობით (შესაბამის დროს არ არსებობდა კანონი, რომელიც ეხებოდა კრიმინალურ ავტორიტეტად ყოფნას). შესაბამისად, ოთხი

„კანონიერ ქურდს“ თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა პრობაციის წესების დარღვევისათვის, ცხრას - მაწანწალობისა და სხვა პარაზიტული ტიპის ცხოვრების წესისათვის, თოთხმეტს - იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ფლობის ან შენახვისათვის; და ცხრამეტს - ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის; ამასთან დანარჩენ ექვს „კანონიერ ქურდს“ თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა სხვადასხვა მცირე სიმძიმის დანაშაულებისათვის. ყველა შემთხვევაში, ძალიან რთული აღმოჩნდა დაკავებული „კანონიერი ქურდების“ მიერ მათი ჩვეულებრივი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლა, რადგან მათ მარტივად შეეძლოთ კრიმინალური სამყაროს მართვის გაგრძელება თავიანთი ციხის საკნებიდან (ბიბლიოგრაფია: ვ. დევის ნორდინი და გ. ლლონტი, *კანონიერი ქურდების და კანონის უზენაესობა საქართველოში*, საერთაშორისო საქმეების კავკასიური მიმოხილვა, ტომი 1 (1) - ზამთარი, 2006; ლ.ი. შელი (L. I. Shelley), პოსტ-საბჭოთა ორგანიზებული დანაშაული, პრობლემები და რეაგირება, სისხლის სამართლის პოლიტიკისა და კვლევის ევროპული ჟურნალი, წიგნი 3-4, გვ. 8).

## კანონი

### I. კონვენციის მუხლი 7-ის სავარაუდო დარღვევა

25. მომჩივანმა განაცხადა პრეტენზია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1) არ იყო ზუსტი და საკმარისად განჭვრეტადი იმისათვის, რომ მომჩივანს განესაზღვრა, თუ რა სახის ქმედება იქნებოდა განხილული როგორც დაკავშირებული დანაშაულებრივ სამყაროსთან და შესაბამისად იქნებოდა დასჯადი. იგი ემყარებოდა კონვენციის მუხლ 7-ს, რომლის შესაბამისი ნაწილები შემდეგნაირად იკითება:

“1. არ არის დაშვებული პირის დადანაშაულება სისხლის სამართლებრივ დანაშაულში რაიმე ქმედების ან გადაცდომის საფუძველზე, თუ ამ უკანასკნელმა არ განაპირობა სისხლის სამართლებრივი დანაშაული, როგორც ეს დანაშაულის ჩადენის მომენტში არის გათვალისწინებული ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობის ფარგლებში.

## A. მისაღებობა

26. მთავრობას არ წარმოუდგენია პროტესტი განხილული პრეტენზიის მისაღებობასთან დაკავშირებით.

27. სასამართლო მიიჩნევს, რომ განხილული პრეტენზია არ არის ცუდად დასაბუთებული კონვენციის მუხლი 35 § 3 (a)-ის მნიშვნელობის ფარგლებში. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ პრეტენზია არ არის მიუღებელი სხვა რომელიმე განსხვავებული საფუძვლით. შესაბამისად პრეტენზია მისაღებად უნდა გამოცხადდეს.

## B. არსებითი მხარე

### 1. მხარეთა არგუმენტები

28. მთავრობამ, შესაბამისი სოციო-სამართლებრივი კვლევის ვრცელ ბიბლიოგრაფიაზე მითითებით (იხილეთ ზემოთ 22-24 პუნქტები), სასამართლოს მოუწოდა მხედველობაში მიეღო საქართველოში მაფიის ტიტულოვანი წარმომადგენლების, „კანონიერი ქურდების“ მიერ მართული „ქურდული სამყაროს“ სოციალური ფენომენი. მთავრობის წარმომადგენლებმა ასევე ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ამ ტიპის კრიმინალური ავტორიტეტების ძალაუფლება მნიშვნელოვნად სცდება კრიმინალურ სამყაროს და ზიანს აყენებს ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სხვადასხვა ასპექტს. შესაბამისად, ახალგაზდრებს გააჩნიათ სურვილი დაემსგავსონ კრიმინალური სამყაროს მმართველებს; ამასთან არსებობს ინფორმაცია, რომ მრავალი მაღალი თანამდებობის მქონე პირიც კი თანამშრომლობდა და მხარდაჭერას უცხადებდა ამ ტიპის ავტორიტეტებს და სანაცვლოდ იღებდა ფინანსურ მხარდაჭერას ბიზნეს წრეებიდან „დონაციების“ სახით. ამ არაჯეროვანმა გავლენამ შედეგად, სხვათა შორის, მოგვცა „კანონიერი ქურდების“ მიერ ციხეებზე სრული კონტროლი. მუქარის, ძალადობისა და მიმდევრობის საფუძველზე, კრიმინალურ ავტორიტეტებს გააჩნდათ უზარმაზარი გავლენა სხვა პატიმრებზე და ციხეების ხელმძღვანელობაზე, და მათ მიერ დაწესებული წესებისადმი დაუმორჩილებლობას, „ობშიაკ“-ში თანხობრივი მონაწილეობის წესის დარღვევის ჩათვლით, შეეძლო გამოეწვია სასტიკი სასჯელი, სიკვდილის ჩათვლით.

29. მთავრობამ სასამართლოს განუმარტა, რომ მრავალი წლის განმავლობაში რეალურად არ ხდებოდა ბრძოლა „კანონიერი ქურდების“ მბრძანებლობისა და მათი კრიმინალური გაერთიანებების წინააღმდეგ ჭეშმარიტი პოლიტიკური ნების არ-არსებობის გამო. მხოლოდ 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ დაიწყო სახელმწიფომ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავდა კრიმინალური ავტორიტეტების ძალაუფლების შემცირებას ქვეყანაში. კერძოდ, 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი იქნა ცვლილება მუხლი 223(1)-ის დამატების სახით, რომელიც იტვალისწინებს სასჯელს ორი სხვადასხვა სისხლის სამართლებრივი დანაშაულისათვის - (ა) „ქურდული სამყაროს“ წევრობა და ბ) „კანონიერი ქურდობა“. ამ დანაშაულების სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა ემყარება სახელმწიფო ორგანოების მიერ „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტის სპეციფიური თავისებურებების, „ქურდულ სამყაროში“ ქცევის სპეციალური წესების სიღრმისეულ ცოდნას. მაგალითად, მუხლი 223(1) მიზნად ისახავდა ზოგადად მიღებული შემდეგი ფენომენის მოცვას - „კანონიერი ქურდები“ თავად არ ჩადიოდნენ დანაშაულს, მაგრამ ახდენდნენ სხვადასხვა სისხლის სამართლებრივი დანაშაულებრივი ქმედებების მართვას კრიმინალური გაერთიანებების საშუალებით, რომლებიც მოქმედებდნენ მათი უშუალო ან არაპირდაპირი ხელმძღვანელობით. „კანონიერი ქურდების“ ძალაუფლების ერთ-ერთ ყველაზე აღსანიშნავ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ იგი ემყარებოდა რეპუტაციას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქვეყანაში მათი ფიზიკურად არ ყოფნის შემთხვევაშიც კი, მათ მაინც შეეძლოთ საზოგადოებრივი წესრიგისთვის საფრთხის შექმნა ერთგული კრიმინალების ქსელის საშუალებით.

30. მთავრობამ ასევე მიუთითა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში 2005 წლის 20 დეკემბერს შეტანილ ცვლილებებს ასევე ახლდა ოფიციალური განმარტებითი მემორანდუმი, რომელიც გარდა იმისა, რომ შეიცავდა საკანონმდებლო ცვლილების დასაბუთებას, მოიცავდა ამ ტიპის დანაშაულების შემადგებლობასაც (იხლით ზემოთ, პუნქტი 19). ამასთან ერთად, შეტანილი ცვლილებები წარმოადგენდა უფრო ფართო ხასიათის საკანონმდებლო პაკეტის ერთ-ერთ ელემენტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა კრიმინალური გაერთიანებების წინააღმდეგ

ბრძოლის ინტენსიფიკაცია. იმავე დღეს მიღებულ კიდევ ერთ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს კანონი ორგანიზებულ დანაშაულსა და რეკეტზე; ამ კანონის მესამე ნაწილი ამომწურავად განუმარტავს საზოგადოებას ისეთი ცნებების მნიშვნელობას, როგორცაა „ქურდული სამყარო“, „ქურდული სამყაროს წევრობა“, „ქურდული გარჩევა“, „კანონიერი ქურდობა“ და ა.შ. 2005 წლის 20 დეკემბრის საკანონმდებლო პაკეტის საშუალებით საქართველოს სახელმწიფომ შეძლო სისხლის სამართლებლივი დევნა გამოეცხადებინა და მსაჯვრი დაედო 180-ზე მეტ კრიმინალურ ავტორიტეტზე, მათგან 20 დამნაშავედ იქნა ცნობილი „კანონიერ ქურდობაში“. ამასთან ზოგიერთმა ყველაზე დიდი ძალაუფლების მქონე „კანონიერმა ქურდმა“ შეძლო საქართველოდან გაქცევა და მათ თავშესაფარი იპოვეს რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში და ზოგიერთ შემთხვევაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კი. ზემოთ განხილული ეფექტიანი ანტი-კრიმინალური კამპანიის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს კრიმინალური ავტორიტეტების სოციალური გავლენის შემცირება საზოგადოებაზე, და შესაბამისად მათი სოციალურად პრივილეგირებული პოზიციების შესუსტება.

31. ამდენად მთავრობა ამტკიცებს, რომ 2005 წლის 20 დეკემბრით დათარიღებული საკანონმდებლო პაკეტი საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ მომჩივანს ჰქონოდა ნათელი წარმოდგენა იმაზე, რომ მისი ასოცირება „ქურდულ სამყაროსთან“ აუცილებლობით გამოიწვევდა მის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით 223(1), და შესაბამისად მას თავისი ქმედებები შესატყვისად უნდა მოეწესრიგებინა.

32. საპასუხოდ, მომჩივანმა, დამატებითი არგუმენტების წარდგენის გარეშე, უბრალოდ გამოხატა თავისი უკმაყოფილება საქართველოს მთავრობის პოზიციის მიმართ და კვლავ განაცხადა, რომ მას არ შეეძლო განესაზღვრა, თუ მისი რომელი ქმედება განაპირობებდა მის პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1) ფარგლებში. მან განაცხადა, რომ არ იცოდა „ქურდული სამყაროს“ ან „ქურდული გარჩევის“ ცნების შესაძლო მნიშვნელობების შესახებ.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (a) ზოგადი პრინციპები

33. კონვენციის მუხლი 7 § 1-ი არა მხოლოდ კრძალავს სისხლის სამართლის კანონის რეტროსპექტიულ გამოყენებას ბრალდებულის საზიანოდ, არამედ იგი უფრო ზოგად დონეზე განსაზღვრავს შემდეგ პრინციპს - მხოლოდ კანონს შეუძლია განსაზღვროს სისხლის სამართლებრივი დანაშაული და შესაბამისი სასჯელი. ამასთან იგი უფრო კონკრეტულად კრძალავს არსებული დანაშაულების მოქმედების არეალში იმ ქმედებების მოქცევას, რომლებიც წარსულში არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს. კონვენცია ასევე განსაზღვრავს შემდეგ პრინციპს - სისხლის სამართლის კოდექსი არ უნდა იქნას განმარტებული მხოლოდ ბრალდებულის საზიანოდ, მაგალითად ანალოგიის გამოყენების გზით. ამასთან კანონმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს სისხლის სამართლის დანაშაულები და შესაბამისი სასჯელი. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, თუ ინდივიდს შეუძლია შესაბამისი დებულების სიტყვათა წყობიდან და, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან კანონის განმარტებაში დახმარების გზით, გაიგოს, თუ რა ქმედებები და გადაცდომები აღძრავს მის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. „კანონზე“ საუბრისას, მუხლი 7 იმოწმებს იმავე ცნებას, რასაც კონვენცია სხვა შემთხვევებში იყენებს, ცნებას, რომელიც მოიცავს როგორც ზოგად კანონს ისე პრეცედენტურ სამართალს და გულისხმობს ხარისხობრივ მოთხოვნებს, ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის ჩათვლით (იხილეთ *კანტონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Cantoni v. France)*, 1996 წლის 15 ნოემბერი, § 29, განჩინებებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშები 1996 - V; *კოემე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ (Coëme and Others v. Belgium)*, საქმეები 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 და 33210/96, § 145, ECHR 2000-VII; და *სუდ ფონდი და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Sud Fondi S.r.l. and Others v. Italy)*, საქმის ნომერი 75909/01, §§ 107 და 108, 2009 წლის 20 იანვარი).

34. პრინციპის - კანონებს უნდა გააჩნდეთ ზოგადი გამოყენება - შედეგად საკანონმდებლო აქტების სიტყვათა წყობა არ არის ყოველთვის ზუსტი. ეს ნიშნავს, რომ ბევრი კანონი გარდაუვალად ბუნდოვანია უფრო მცირე ან მეტი ხარისხით, და მათი ინტერპრეტაცია და გამოყენება პრაქტიკაზე დამოკიდებული.

შედეგად, კანონთა ნებისმიერ სისტემაში, რაც არ უნდა მკაფიოდ იყოს ფორმულირებული სამართლებრივი დებულება, სისხლის სამართლის დებულების ჩათვლით, შეიძლება არსებობდეს იურიდიული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ყოველთვის იქნება საეჭვო პუნქტების განმარტებისა და ცვალებად გარემოებებთან ადაპტაციის საჭიროება. თუმცა, რა თქმა უნდა, კანონს უნდა შეეძლოს ცვალებადი გარემოებებისადმი ადაპტაცია. კანონი შეიძლება აკმაყოფილებდეს „განჭვრეტის“ მოთხოვნას; შესაძლოა პიროვნებას დასჭირდეს შესაბამისი იურიდიული რჩევის მიღება გონივრულ საზღვრებში გარემოებების გათვალისწინებით. (იხილეთ *აჩური საფრანგეთის წინააღმდეგ (Achour v. France)*, საქმის ნომერი. 67335/01, § 54, ECHR 2006-IV, და *ჰუტამაკი ფინეთის წინააღმდეგ (Huhtamäki v. Finland)*, საქმის ნომერი 54468/09, § 44, 2012 წლის 6 მარტი).

**(b) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულისაქმეს თანმიმართებაში**

35. მიმდინარე საქმის გარემოებების საფუძველზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს წარედგინა ბრალი „ქურდული სამყაროს“ წევრობაზე სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1) საფუძველზე. ამდენად, მხარეებს შორის დავის არსი იმაში მდგომარეობს, იყო თუ არა კონკრეტული დანაშაულის არსი ნათელი და განჭვრეტადი, რათა მომჩივანს შეძლებოდა თავისი ქცევის შესაბამისი მოწესრიგება.

36. სასამართლო მიუთითებს, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრობა, დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1)-ის პირველი პუნქტით, მჭიდროდ არის დაკავშირებული „კანონიერი ქურდობის“ დანაშაულთან, რომლის დასჯა ხდება სისხლის სამართლის კოდექსის იგივე მუხლის მეორე პუნქტით. ორივე დანაშაული დაკავშირებულია ორგანიზებული დანაშაულის კარგად ცნობილ ინსტიტუტთან, და მათი გათვალისწინება მოხდა 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ უფრო ფართო ხასიათის საკანონმდებლო პაკეტში; მოცემული საკანონმდებლო პაკეტის მიზანს წარმოადგენდა კრიმინალური გაერთიანებების წინააღმდეგ ბრძოლის ინტენსიფიკაცია (იხილეთ ზემოთ პუნქტები 18-20). სასამართლოს ყურადღება პირველ რიგში მიმართული იყო საშიში კრიმინალური საზოგადოების

ფუნქციონირებასა და მის შურისმგებლობითი ხასიათის წესებზე საქართველოს ციხეების სექტორის კონტექსტში (იხილეთ ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, საქმე N35403/06, §§ 61, 66-69 და 87-92, 2011 წლის 15 თებერვალი). განხილული საქმის კონტექსტში სასამართლოსთვის წარდგენილი და დაწვრილებით განმარტებული იქნა რამდენიმე სოციო-სამართლებრივი კვლევის დასკვნები საქართველოს საზოგადოებაზე „ქურდული სამყაროს“ კრიმინალური ინსტიტუტის ზემოქმედებაზე (იხილეთ ზემოთ პუნქტები 21-24). შედეგად, და ცნობილი მაფიის ტიპის ორგანიზაციების უარყოფით სოციალურ ზემოქმედებასთან პარალელების გავლებით (მაგალითად, იხილეთ *რაიმონდო იტალიის წინააღმდეგ (Raimondo v. Italy)*, 1994 წლის 22 თებერვალი, § 30, სერია A, N. 281-A), სასამართლო ხედავს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ 2005 წლის 20 დეკემბერს კრიმინალური საქმინაობის წინააღმდეგ უფრო აქტიური ბრძოლის მიზნით საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე გადაწყვეტილების დასაბუთებულობას.

37. რა თქმა უნდა, შესაბამისმა კვლევებმა აჩვენა, რომ „ქურდული სამყაროს“ არსებობა და ფუნქციონირება ახდენდა უარყოფით გავლენას არ მხოლოდ ციხეების სექტორზე, ასევე ზოგადად საზოგადოებაზე საქართველოში, ქვეყნის ყველაზე მოწყვლადი წევრების, კერძოდ, ახალგაზრდების ჩათვლით. ზემოთ განხილული კვლევებისა და მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე სასამართლო ადგენს, რომ მოცემული კრიმინალური ფენომენი ძალიან ღრმად იყო გამჯდარი საზოგადოებაში 2005 წლის 20 დეკემბერს ანტი-კრიმინალური საკანონმდებლო პაკეტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე (იხილეთ ზემოთ პუნქტები 24 და 28); ამასთან „კანონიერი ქურდების“ სოციალური ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, რომ საზოგადოების ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის ისეთი ცნებები, როგორცაა „ქურდული სამყარო“, „კანონიერი ქურდი“, „ქურდული გარჩევა“, „ობშიაკი“ და ა.შ. წარმოადგენდა საყოველთაო ცოდნის საგანს და ფართო წრეებში იყო გაგებული (იხილეთ ასევე *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ, ზემოთ მოყვანილი ციტირება*, §§ 61 და 66-69).

38. შესაბამისად სასამართლო მიიჩნევს, რომ 2005 წლის 20 დეკემბერს ორი ახალი სამართალდარღვევის, კერძოდ „ქურდული სამყაროს“ წევრობის და „კანონიერი ქურდობის“ შემოტანით,

საქართველოს კანონმდებლებმა უბრალოდ სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში მოაქციეს ცნებები და ქმედებები, რომლებიც უკავშირდება კრიმინალური („ქურდების“) ქვე-კულტურას; ამასთან ამ ცნებების ზუსტი მნიშვნელობა უკვე ცნობილი იყო ზოგადად საზოგადოებისათვის. საინტერესოა, რომ ქართველმა კანონმდებლებმა გადაწყვიტეს სასაუბრო ენის შენარჩუნება მოცემული სამართალ დარღვევების იურიდიულ განმარტებებში. სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული მიდგომა გამოყენებული იქნა იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოებას მარტივად მოეხდინა სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში ახლად მოქცეული დარღვევების აღქმა. მოცემული გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოსთვის არ აღმოჩნა დამარწმუნებელი მომჩივანის მცდელობები წარმოედგინა საკუთარი თავი იმ პირად, რომლისთვისაც კრიმინალურ ქვე-კულტურასთან დაკავშირებული ცნებები წარმოადგენდა აბსოლუტურად უცხოს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივ გამოძიებასთან მან აბსოლიტურად საპირისპირო გამოავლონა. ამდენად, მომჩივანი აცხადებს, რომ ბ-ნ ა.კ.-ს გააჩნდა „კანონიერი ქურდის“ სპეციალური სტატუსი და მისი აზრით, იგი „კაცური კაცი“ იყო (იხლით ზემოთ, პუნქტი 8). უფრო მეტიც, დაჭერილ ნაცნობთან, „კანონიერ ქურდად“ „მონათვლის“ კანდიდატთან ვიზიტისას, მომჩივანი განიხილავდა „ობშიაკთან“ დაკავშირებულ ფინანსურ საკითხებს და ასევე გამოხატავდა თავის პოზიციას, რომელიც მიუთითებდა მის დაინტერესებაზე კრიმინალური ქვე-კულტურის, „ქურდული სამყაროს“ მომავლით და ამ სამყაროში მოქმედი სპეციალური წესების შესახებ მის გათვითცნობირებაზე, ამასთან ერთად, საკუთარი სურვილით ორ კერძო ხასიათის დავაში ჩარევისას, მომჩივანს არ გაჭირვებია საკუთარი, როგორც ქურდული სამყაროს მნიშვნელოვანი წევრის ავტორიტეტის და მისი უფროსის, ტიტულიანი „კანონიერი ქურდის“ ბ-ნი ა.კ.-ს ავტორიტეტის, როგორც დარწმუნების საშუალების გამოყენება (იხილეთ ზემოთ პუნქტები 13-15).

39. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს აზრით, სისხლის სამართლის კოდექსში დამატებით მუხლი 223(1)-ის შეტანა, რითაც გარკვევით მოხდა „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული ორი ერთმანეთისაგან გამორჩეული სამართალდარღვევის კანონგარეშე გამოცხადება, წარმოადგენდა

2005 წლის 20 დეკემბერს მიღებული უფრო ფართო საკანონმდებლო პაკეტის ნაწილს, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინტენსიფიკაცია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დოკუმენტი - კანონი ორგანიზებულ დანაშაულსა და რეკეტზე - იმავე დღეს იქნა მიღებული, ამ კანონის მესამე ნაწილი ამომწურავად განუმარტავს საზოგადოებას ისეთი ცნებების მნიშვნელობას, როგორცაა „ქურდული სამყარო“, „ქურდული სამყაროს წევრობა“, „ქურდული გარჩევა“, „კანონიერი ქურდობა“ და ა.შ. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1), ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის ნაწილ 3-ში წარმოდგენილი იურიდიული განმარტებებთან ერთად წაკითხვის შემთხვევაში (შედარებისთვის იხილეთ *კასიმახუნოვი და საიბატალოვი რუსეთის წინააღმდეგ (Kasymakhunov and Saybatalov v. Russia)*, საქმე N. 26261/05 და 26377/06, § 82, 2013 წლის 14 მარტი), ჩვეულებრივი პირის საყურადღებოდ ახდენს სისხლის სამართლის ორი დანაშაულის ყველა იმ შემადგენელი ელემენტის კომუნიკაციას, რომლებიც უკავშირდება „ქურდული სამყაროს“ ფუნქციონირებას.

40. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ 2005 წლის 20 დეკემბერს „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „კანონიერი ქურდობის“ სისხლის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის შემდეგ, მომჩივანს შეეძლო ადვილად განესაზღვრა მისი ის ქმედებები, რომლებიც გამოიწვევდნენ მის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 223(1) & 1 შესაბამისად, ათწლეულების მანძილზე „ქურდული სამყაროს“ ქვეკულტურის საზოგადოებაში პროგრესული გავრცელების პირობებში არსებული ზოგადი ცოდნის საუბველზე ან ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის ნაწილ 3-ში მოცემული განმარტებების საფუძველზე ან, აუცილებლობის შემთხვევაში, შესატყვისი იურიდიული კონსულტაციის მიღების საფუძველზე (იხილეთ *დელ რიო პრადავი ესპანეთის წინააღმდეგ (Del Rio Pradav. Spain [GC])*, საქმის N. 42750/09, § 79, ECHR 2013).

41. შესაბამისად არ დარღვეულა კონვენციის მუხლის 7.

## II. კონვენციის სხვასავარაუდოდ არღვევები

42. მომჩივანი ახდენს კონვენციის მუხლების 6 §§ 1 და 3, 8 და 10 ციტირებას; ასევე არ ეთანხმება მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოების შედეგებს და თავს მიიჩნევს უდანაშაულოდ.

43. ყველამისხელთარსებულ იმასალის საფუძველზე დაამსაკითხებთან დაკავშირებული მისი კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან ვერ აღმოაჩინა კონვენციითა და დამატებითი ოქმებით განსაზღვრული უფლებებისა და თავის უფლების დარღვევის ნიშნები.

საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე ( §§ 3 „ა“ და 4) მუხლის თანახმად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად,

1. აცხადებს მის აღებად კონვენციის მე-7 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს და დასაჩივრის დანარჩენ ნაწილს - მიუღებლად;

2. ერთხმად ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-7 მუხლი.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე დამხარეებს ეცნობათ წერილობით 2014 წლის 15 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე ( §§ 2 და 3) მუხლების შესაბამისად.

ფატოს არაჩი  
სექციის განმწესრიგებელის მოადგილე

ინეტა ციმელი  
თავმჯდომარე